



ქ.ზუგდიდი

4 მარტი 2016 წ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წის 5 თებერვლის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ადგენს:

მუხლი 1.

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წის 5 თებერვლის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/02/2016, სარეგისტრაციო კოდი 200140030.35.105.016248) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალში გამავალ „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდა-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 11,34 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე